ხუთშაბათი, ივლისის 17 1919 წ. ფასი 1 მ. 50 კ. № 129

წელიწადი მესამე.

ჩვენი

# ქვეყანა

**რედაქცია**

სამაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

**რედაქცია ღიაა:** დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**კანტორა**

**გაზეთის ფასი:** ერთი თვით 30 მან. 3 თვით 75 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 40 მ., 12 საათის შემდეგ 45 მან.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თფილისის ქ., ჟიხაძის ს. ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

ეკატერინე ნიკოლაძისა, ელისაბედ ჯანგავაძე, თომა ლორია და ილია ნიკოლაძე შვილებით იოსებ და დარისპან შენგელიები ცოლშვილით, პასიკო გორგიძისა თავისი ქმარშვილით, მაგდანა ივანეიშვილისა შვილებით ოლია ნარეშელაშვილისა შვილებით, პავლე და გიორგი ჯანგავაძეები გულითადის მწუხარებით გაუწყებენ რა გარდაცვალებას პირველნი ქალიშვილები, მეორენი სიძეები, მესამენი დები, მეოთხენი ძმები, მეხუთენი მაზლები და მეექვსე მული

## ივლიტე სიმონის ასულისას ჯანგავაძისას

უმორჩილესად გთხოვთ პატივი სცეთ და მობრძანდეთ მიცვალებულის გამოსვენებაზე თავის საკუთარ სახლიდან, ივანოვის ქუჩაზე, სალორიის სასაფლაოზე 17 ივლისს (ახ. სტ.) დღით ხუთშაბათს ნაშუადღევის 3 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 ს. 1—1

## პატივცემულ საზოგადოების საყურადღებოთ.

ქუთაისში, ჩემს სავაჭროში, იყიდება გოგირდი ვენახებისათვის. მსურველს შეუძლია მიიღოს ხელ მისაწდომ ფასებში. იქვე იყიდება ბორჯომის წყალი: ყუთობით 260 მანეთად, ბოთლობით თითო ხუთ მანეთად.

6—2. **დავით ქებაძე.**

## კურსების გოგირდის აბანო.

ძმ. უგრეხელიძეების (ყოფილი არჯევანიძეების) კურსების გოგირდის წყლის აბანოს სეზონი გაიხსნა 5 ივლისიდან. აბანო არსებობს სოფ. კურსებში არჯევანიძის პლატფორმასთან (ტყიბულის რკინის გზის ლიანდაგი) აბანოსთან მოწყობილია ოთახები და ბუფეტი. წყალი ვანებისათვის ყოველთვის როგორც ცხელი ისე ცივი მზად არის. მატარებლის გაჩერება განახლდა დღეში ორჯერ.

**მოიჯარადრეები ძმ. უგრეხელიძეები.**

## ექიმი ბოკერიას

ქირურგიული და ქალთა სნეულების საავათმყოფოში სამშობიარო განყოფილებით ივლისის 6 რიცხვიდან (ახ. სტ.) მუშაობა განახლდა და ავათმყოფების მიღებაც სწარმოებს.

## ექიმი მ. ე. ნემსაძე

ღებულობს შინაგან და ვენერიულ სნეულებიან ავადმყოფთ. (609 და 914 შეშხაპუნება) ყოველ დღე დილის 9—12 და საღ. 5—7-მდე. თბილისის ქუჩა. მხეიძის და ნარეშელაშვილის აფთიაქის თავზე.

## დავკარგე

მოწმობა ერობის მიერ მოცემული, № 2426 მნახველს ვსთხოვ მომიტანოს გაზ. „ჩვენი ქვეყნის" რედაქციაში; წინააღმდეგ შემთხვევაში ნამხველი ვერც სხვა პირნი ვინმე ვერ ისარგებლებს იმ მოწმობით ჩემის სახელით ერთნ ფუთი შაქარი და ერთი ვედრო სპირტი.

**მეთოდი ქათამაძე.**

1—1

ერთი კვირის წინეთ დაიკარგა ჩემი შვილი 14 წლისა, **ვალიკო ვლადიმერის ძე ლორია.** ვსთხოვ, საზოგადოებას თუ ვინმემ იცის სად იმყოფება იგი მომაწოდოს ცნობა **მისამართი:** საჯავახოს სადგური ბერძნის წყარო მარიამ ლორიას ქვრივი.

1—1

**დღეს, ხუთშაბათს,** ივლისის 17, საღამოს 6 საათზე, საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში დანიშნულია სხდომა ახლად დაარსებული სააქციონერო „საქართველოს" საზოგადოების ქუთაისის საორგანიზაციო კომიტეტისა. კომიტეტი სთხოვს ყველას, ვინც ამ საზოგადოებას თანაუგრძნობს და სურს მისი წევრობა, კრებას დაესწროს და მოისმინოს სასწრაფო მოხსენება.

**საორგანიზაციო კომიტეტი**

## ახალი საზოგადოება.

ჩვენს დაბეჩავებულს და ნივთიერათ დაღარიბებულს ქვეყანას რომ რამე ეშველოს ამისთვის ბევრი რამ არის საჭირო, მაგრამ ყველაზე უფრო ის, რომ ჩვენში ვაჭრობა-მრეწველობის საქმე მოეწყოს და მეურნეობა აყვავდეს. ვაჭრობა-მრეწველობის გაფართოება და მეურნეობის აღორძინება უტყუარი გზა არის ჩვენი სამშობლო ქვეყნის გასამდიდრებლათ, რაზედაც დამოკიდებულია პოლიტიკური და გონებრივი სიძლიერეც. ჩვენში ნამდვილი ვაჭრობა-მრეწველობა დღემდი არც ყოფილა. რაც იყო ეს რაღაც მიბაძვაა ვაჭრობის, რაც კეთდებოდა ამ სფეროში ან სხვისი დაწყებული იყო, ან სხვისი მეთაურობით სწარმოებდა, ან სხვის სასარგებლოთ თავდებოდა, ასე რომ ქართველი ერი საქართველოს საკეთილდღეო ვაჭრობას ვერც საქართველოში და ვერც მის გარეშე ვერ აწარმოებდა.

ამ შემაწუხებელ მოვლენას აქამდიც ვხედავდით და ვწუხდით, მაგრამ ომისა და რევოლიუციის დროს ეს უფრო აშკარა და თვალსაჩინო შეიქნა, დღეს ერთი და ორი ქართველი კი აღარ სწუხს ამაზე, ფართო წრემ შეიგნო ეს უმთავრესი ეროვნული ნაკლი, დღეს ქართველთა მოწინავე წრე დარწმუნებულია რომ სახელმწიფოებრივი ჩვენი აღორძინება თუცილებელ პირობათ გულისხმობს ვაჭრობა-მრეწველობის განმტკიცებას და მის ნამდვილ ევროპიულ ნიადაგზე დაყენებას.

ეს შეგნება და რწმენა უკვე საქმეთ გადიქცა.

სწორეთ ვაჭრობა-მრეწველობის გასაუმჯობესებლად და მის რიგიან ნიადაგზე დასაყენებლად აუცილებელია **აქციონერთა საზოგადოების** დაარსება. რაც მეტი გაჩნდება ჩვენში ასეთი საზოგადოება მით უკეთესია და მით უფრო წარმატება გვექნება.

ამ ორი თვის წინ განზრახული საქმე, რომ ჩვენში დაგვეარსებია ასეთი საზოგადოება უკვე განხორციელდა. დაარსდა ახალი საზოგადოება **„საქართველო"**. წესდება ამ საზოგადოების უკვე დამტკიცებულია, ქალაქებსა და დაბებში მომწყობი კომიტეტები უკვე შესდგა. კომიტეტებისითვის სათანადო ინსტრუქციები უკვე დარიგდა. დღეიდან ყველგან შეუდგებიან აქციების გაყიდვას და წევრთა მიღებას, რაც ამ ერთი თვის განმავლობაში უნდა მოთავდეს და შემდეგ საზოგადოება დაიწყებს წარმოებას.

დღეს ქუთაისში—საურთიერთო ნდობის ბანკში—ამ საზოგადოების მომწყობ კომიტეტს აქვს კრება და იწვევს ყველას, მსურველთ და თანამგრძნობთ დაესწრონ კრებას, მოისმინონ ყოველივე რაც გაკეთდა ამ ცოტა ხანში და შეიძინონ აქციები. ეს ნაბიჯი მეტათ მოხერხებულათ გადადგმულია და ვისაც ვაჭრობა-მრეწველობის საქმე ცოტა ოდნათ ესმის ადვილათ მიხვდება მომავალს. ყოველ შეგნებულ ქართველს ევალება ამ საქმეს ხელი შეუწყოს ქვეყნის და ერის საკეთილდღეოთ...

**ტრიფონ ჯაფარიძე.**

## დენიკინის დამცველები და საქართველო.

რუსეთის შავრაზმული პრესა არასოდეს და არც ერთ სახელმწიფოს ისე მტრულად და შურისძიებით არ მოპყრობია, როგორც ეხლა თავისუფალ საქართველოს.

როდესაც დენიკინის „სამეფოში" გამოცემულ გაზეთებს ვათვალიერებთ, მაგონდება გასათხოვარი ქალი, რომელსაც სასძლო აღმოუჩენია, მაგრამ მის გარშემო შემოკრებილან შურით აღვსილი დრო გადასული ქალები და საქმის ჩასაშლელად ჭორებს ავრცელებენ.

საქართველოს გათხოვება არ სჭირდება. მან ჯვარი დაიწერა დამოუკიდებლობაზე და სუვერენულ, საკუთარ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას უკვე შეუდგა. ჩვენ დამოუკიდებლობას ვერ მოსპობს ვერც ერთი ჭორიკანა ქალი, რაც უნდა დახელოვნებული იყვეს იგი მაჭანკლობაში, მაგრამ დენიკინის მოყიდული „მაჭანკლების" ინფორმაციას მაინც აქვს ერთგვარი მნიშვნელობა.

გარეშე სახელმწიფოთა თვალში მეტი წონა და ღირებულობა აქვს იმ სახელმწიფოს სადაც, ყველაფერი ნორმალურად არის მოწყობილი და სახელმწიფოებრივი აპარატი საღი პრინციპების მიხედვით არის ამუშავებული. მოკავშირეები, რომელთა ხელშია დღეს ახლად აღორძინებული ერები,—იცნობს იმ სახელმწიფოს დამოკიდებულებას, რომელსაც შეუძლია საკუთარი ცხოვრება, როგორც პოლიტიკურათ ისე ეკონომიურად და რომელსაც მართვა-გამგეობის თავში ჰყავს ყოველის მხრით მომზადებული პირები.

ეს კარგად იცის შავმა გენერალმა დენიკინმა, მისმა დამცველმა პრესამ და ეს არის მიზეზი, რომ საქართველოს შესახებ უსირცხვილოთ ისეთ რამეებს სწერენ, რომ თვით ამ ცნობების დამწერი უნდა იტანჯებოდეს სირცხვილით.

მაგრამ სად სირცხვილი და სად მოყიდული ინფორმატორები.

და ისეთი კილოთი სწერენ შავრაზმული პრესის ხელმძღვანელები,—ვითომც საქართველოზე გული შესტკიოდესთ.

„სევერო კავკაზის კრაის" ერთ-ერთ ნუმერში მოთავსებულია ორი ცნობა, რომელიც აღშფოთებას იწვევს ყოველ მკითხველში.

ხსენებული გაზეთი ერთ ცნობაში ასე აღწერს საქართველოში „არსებულ ანარხიას":

„მთელ მხარეში (საქართველოში) გაჩნდა ეპიდემია, ძარცვა და გლეჯა. საქართველოს მთავრობა ვერ უმკლავდება ანარქიას. მცხოვრებლები მოუთმენლათ მოელიან მოხალისეებს. საქართველოს მხედრობა ავაზაკთა ბანდას წარმოადგენს. საქართველოს სამხედრო გზაზე ყველას სძარცვავენ. მოკლეს ამერიკის წარმომადგენელი. საქართველოს დამოუკიდებლობის არ აღიარების გამო დამფუძნებელ კრებაში განხეთქილება მოხდა. რამიშვილის პარტია (!) ინგლისის ორიენტაციას ადგია. თბილისის, ქუთაისის და ფოთის საბჭოები (!) მოითხოვენ მთავრობის პოლიტიკის შეცვლას".

ამავე გაზეთში დაბეჭდილია მეორე ცნობა სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს მთავრობა ატყვილებს ხალხს, თორემ ხალხის მიერ აქამდის გადაყენებული იქნებოდენ და ისევ რუსეთს შეუერთდებოდენო. შემდეგ გაზეთი ეხება საქართველოს ფინანსიურ მდგომარეობას და დაასკვნის, რომ თუ რამე სიმდიდრე ჰქონდა საქართველოს ყველაფერი გაყიდეს და ამოწურესო.

ყველაზე აღმაშფოთებელია შემდეგი ცნობა:—

„მნახველი გადმოგვცემს ქართული სასამართლოს შემდეგ სურათს:—

**მოსამართლე:** ბრალდებულო, რომ გაიძულათ მიგეთვისათ სახელმწიფოს 20000 მანეთი?

**ბრალდებული:** ბ-ნო მოსამართლე, მოგვეცით ნება ვიცოდეთ, რამდენი გეძლევათ თვიურად ჯამაგირი?

**მოსამართლე:** 2000 მანეთი.

**ბრალდებული:** და თქვენ გყოფნისთ ეს ფული?

**მოსამართლე:** არა, არ მყოფნის.

**ბრალდებული:** მაშ რა საშუალებით ცხოვრობთ?

**მოსამართლე:** (გაჩუმებულია)

**ბრალდებული:** თუ თქვენ არ ამბობთ, მე გეტყვით: გუშინ თქვენ აქ გაამართლეთ ერთი მძარცველი, რომელმაც თქვენ გადაგიხადათ 20000 მანეთი. მე კი მივითვისე 20000 მანეთი, და ისიც იმისთვის რომ მე შიმშილით ვკვდებოდი.

სასამართლომ გამოიტანა განაჩენი: გავამართლოთ".

აი ასეთი ინსინუციები იბეჭდება საქართველოს შესახებ დენიკინის დამცველ გაზეთებში; უსირცხვილო მაჭანკლები ცდილობენ უცხო სახელმწიფოთა თვალში დაამცირონ თავისუფალი საქართველო და მოსპონ მისი დამოუკიდებლობა.

მაგრამ ქართველი ერი უკვე დაადგა თავის ისტორიულ გზას, რასაც ვერ შეარყევს ჩრდილოეთში გავრცელებული ხმები და ვერც მოყიდული პრესის ჭორიკანობა.

თუ საქართველოს მთავრობა გარკვეულ გზას დაადგება, რეალურ პოლიტიკას აწარმოებს და სახელმწიფოებრივი თვალთაზრისით იმოქმედებს,—ყოველივე სწორეთ აგვცდება და ჩვენი პოლიტიკური დამოუკიდებლობაც აღიარებული იქნება, როგორც საზავო კონფერენციის მიერ, ისე უცხო სახელმწიფოებისაგანაც.

**ნიკ. ახათიანი.**

## პოლონეთის კაპიტალი საქართველოში.

ამ სათაურით როსტოვის გაზ. „ჟიზნი" მკათათვის 9 ის ნომერში სწერს შემდეგს:

„ჟურნალ დზონენტ" იტყობინება, რომ პოლონეთის კაპიტალისტთა ერთმა ჯგუფმა გადასწყვიტა ვარშავიდან ომის დროს უკრაინაში გადატანილი ქარხნები, მეტ წილად ქიმიური და მეტალურგიური, საქართველოში გადაიტანოს.

ამ მიზნით კონსტანტინოპოლში იქონიეს თათბირი საქართველოს ფინანსთა და შრომის სამინისტროების წარმომადგენელთა ერთის მხრივ და პოლონელ კაპიტალისტთა მეორეს მხრივ.

ალბად შეთანხმება მოხდება, რადგან საქართველო მიწის წიაღის ეროვნულ სიმდიდრედ გამოცხადების შემდეგ ეძიებს მწარმოებლებს, როგორც ადგილობრივს ისე უცხოელს".

## ოსმალეთის დამფუძნებელი კრება.

კონსტანტინოპოლის ოსმალურ გაზეთების ცნობით ოტომანთა მთავრობამ გადასწყვიტა, რომ ახალი პარლამენტის არჩევნების მოწყობა ეხლა დაგვიანებულია და საჭიროა პირდაპირ დამფუძნებელ კრებისათვის მზადებას მოკიდონ ხელი. დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის მუშაობა კიდეც დაიწყეს.

## ახალი ამბავი

— **საერობო წვრილი ერთეულები.** სამაზრო ერობამ თემებში მიწერილობა დაგზავნა, რომ ერთი კვირის განმავლობაში შესდგეს წვრილი ერთეულის ერობის ხმოსანთა ყრილობები. ამ კრებებზე უნდა არჩეულ იქნეს ყრილობის პრეზიდიუმი ერთი წლის ვადით, წვრილი ერთეულის გამგეობა და სხვა და სხვა კომისიები. გამგეობა, სამაზრო ერობის აზრით უნდა შედგენილ იქნეს 3 კაცისაგან ერთი თავმჯდომარე და ორი გამგეობის წევრი. ამ თავითვე სანამ საკანონმდებლო დაწესებულებიდან ინსტრუქცია იქნება გამომუშავებული, ჯამაგირი მიეცემა მხოლოდ თავმჯდომარეს. გამგეობის წევრები საქმის გამორკვევამდის უსასყიდლოთ იმუშავებენ.

— **მანდიკორის თემის** (ოკრიბა) წვრილი ერთეულის ხმოსანთა პირველი ყრილობა სოფ. მანდიკორში დანიშნულია პარასკევს 18 ივლისს.

— **ვალ. გაფრინდაშვილის წიგნი.** იბეჭდება და ამ მოკლე ხანში გასაიდლოთ გამოვა ვალერიან გაფრინდაშვილის ლექსთა პირველი წიგნი: დაისები.

— **ახალი საქციონერო საზოგადოება „საქართველო“** დღეს, 17 ივლისს საღამოს 7 საათზე საურთიერთო ნდობის საზოგადოების დარბაზში დანიშნულია ახალი სააქციონერო საზოგადოების „საქართველოს“ საორგანიზაციო კომიტეტის კრება. კრებაზე დასწრება ყველა თანაგრძნობს შეუძლია.

— **იტალიეთ-კავკასიის ბანკი.** იტალიის მისის ცნობით ამ თვის 11-ს რომში დაარსდა იტალეთ-კავკასიის ბანკი, კავკასიის და იტალიის შორის კომერციული და სამრეწველო ურთიერთობის გასამტკიცებლად.

— **ფრონტის დღე.** შაბათს, 19 ივლისს გაიმართება ფრონტის დღე. ამ დღისთვის დანიშნულია საგანგებო მატარებელი ბაქოს, თბილისსა და ბათომს შორის, რომლის წმინდა შემოსავალი ფრონტის სასარგებლოდ. გადაიდობა

— **აბრეშუმის პარკი.** ქუთაისის ბაზარზე სოფლებიდან აბრეშუმის პარკის შემოტანა თანდათან კლებულობს. ჯერჯერობით გაყიდულა სულ 200 ფუთი პარკი. გასულ წლებში კი 4000-5000 ფუთამდე იყიდებოდა.

— **უბედური შემთხვევა.** ორშაბათს, 14 ივლისს საღამოთი საკონმენდატო რაზმის ჯარის კაცს ჭუმბერიძეს უცაბედათ თოფი გაუვარდა. ტყვია მოხდა იქვე მდგომ ჯარისკაცს ხაჰაპურიძეს და სასიკვდილოთ დასჭრა. ხაჰაპურიძე გუშინ უკვე გარდაიცვალა.

— **აფხაზეთის მდგომარეობა.** სოხუმში გაემგზავრენ დამფუძნებელი კრების წევრი ბ. სპირიდონ კედია და ნიკო თავდგირიძე, რომელნიც აფხაზეთის საკითხს ადგილობრივ გაეცნობიან.

— **საღამო.** შაბათს, 19 ივლისს წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის ბაღში გაიმართება საღამო სეირნობით. შემოსავალი გადადებული იქნება ხსენებული სასწავლებლის სასარგებლოთ.

## საქ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მესამე კონფერენციის რეზოლიუციები.

(დასასრული)

რეზოლიუცია ბ-ნ პ. სურგულაძის მოხსენებაზე: **საქართველოს მხედრობა.**

საქ. **ეროვ.-დემ.** პარტიის მესამე კონფერენციამ მოისმინა ბ-ნ. პ. სურგულაძის მოხსენება. საქართველოს მხედრობის შესახებ და დაადგინა:

1. ვინაიდან საქართველოს სამხედრო ძალის განმტკიცება არის ერთი უპირველესი საშუალებათაგანი ჩვენი დამოუკიდებლობის დაცვის და განმტკიცებისათვის, ამიტომაც იგი ავალებს პარტიის ყველა სათანადო ორგანოს შეუყენებელის ენერგიით იმოქმედოს რათა სასწრაფოდ მიღებულ იქმნას ყველა საჭირო ზომები, ვისგანაც ჯერ არს, საქართველოს მხედრობის გაძლიერებისათვის და 2. ვინაიდან ერთი დანიშნულების ორი ძალი: გვარდია და რეგულიარი ჯარი ერთმანეთს დაშორებულია სარდლობით და ორგანიზაციით და თვალსაჩინო უთანასწორო პირობებშია ჩაყენებული როგორც ნივთიერად, ისე მორალურად და ოფიციალურ მოწოდებისა და პატივისცემის მხრივ და ვინაიდან ყოველივე ეს ამ ორ ძალას შორის მძულვარებას ამყარებს და მით ასუსტებს საქართველოს მხედრობის ძლიერებას და სამხედრო მორალის ერთპირიანობას, ამიტომაც კონფერენცია გამოსთქვამს სურვილს, რომ დამფუძნებელმა კრებამ და მთავრობამ შექმნან ბუნებრივი პირობები ამ ორი ძალის გაერთიანებისა. და ერთსარდლობის ქვეშ მოქცევისათვის.

რეზოლიუცია ბ. პ. სურგულაძის მოხსენებაზე საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა.

საქ. ეროვ.-დემ. პარტიის მესამე კონფერენცია ღრმად დარწმუნებულია, რომ მხოლოდ სახელმწიფოებრივი და დამოუკიდებლობა იხსნის ქართველ ერს გადაგვარებისაგან და გაუხსნის მას ფართო შემოქმედების და აღორძინების გზას, სრულის შეგნებით, რომ ქართველ ერს აქვს საკმაო შემოქმედების ძალა დამოუკიდებელ არსებობისთვის, წინადადებას აძლევს საქართველოს მთავრობას აწარმოვოს გაბედული პოლიტიკა, ქართველი ერის დამოუკიდებლობის განმტკიცებისაკენ მიმართული, ხოლო ქართველ ერს მოუწოდებს განურჩევლად მიმართულებისა საგარ-ო საკითხების გადაჭრაში იქმნეს ერთსულოვანი და თავი მოიყაროს საქართველოს მთავრობის გარშემო და ყოველი მსხვერპლის მოურიდებლად დაიცვას საქართველოს დამოუკიდებლობა.

ქართველმა ერმა უნდა განამკვიდროს მეზობლებთან კავშირი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების გეზი ევროპისკენ წარმართოს.

რეზოლიუცია ბ-ნ პ. გოთუას მოხსენებაზე: თვითმართველობები.

საქ. ეროვ.-დემ. პარტიის მესამე კონფერენციამ მოისმინა ბ-ნ პ. გოთუას მოხსენება თვითმართველობის შესახებ და დაადგინა:

1. კანონი თვითმართველობის შესახებ უნდა დადგინებულ იქნეს დამფუძნებელ კრების მიერ ცენტრალურ მმართველობის სახელმწიფოებრივი კომპეტენციის შეუზღუდველობის პრინციპზე ადგილობრივ თვითმართველობათა სასარგებლოდ.

თვითმართველობათა უფლებები საბიუჯეტო, ადმინისტრატიულ და სხვა უნდა იყოს ნათლად გამორკვეული, რომ არ მოხდეს ერთმანეთში არევა და შეტაკება სახელმწიფოს უზენაეს და თვითმართველობათა ადგილობრივ უფლებებისა.

2. თვითმართველობები უნდა დაადგნენ შემოქმედებით მუშაობის გზას და აწარმოვონ რეალური პოლიტიკა, რომელიც უნდა იყოს ყოველივე პარტიობის გარეშე; და უმთავრესად უნდა მიუძღოდენ და ხელს უყობენ მეურნეობის აღდგენას, განათლების და ჯანმთელობის საქმეს, წესიერი მიმოსვლის მოწყობას. მრეწველობის განვითარებას და საერთოდ ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებას.

3 ეროვ. დემ. პარტია მონაწილეობას იღებს თვიმართველობის მუშაობაში, აწარმოებს საქმიან ოპოზიციას თვითმართველობათა დასაყენებლად თვითმოქმედების და შემოქმედების გზაზედ; მონაწილეობას მიიღებს როგორც თვითმართველობათა პრეზიდიუმში, ისე გამგეობაში.

რეზოლიუცია დახოცილ გმირთა ხსოვნაზე.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მესამე კონფერენცია მოწიწებით მოიხსენებს მათ, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ველზე თავი დასდვეს და ამით უკვდავყვეს თავისი სახელი, ნუგეშით მიმართავს მათ ჭირისუფლებს და გამოსთქვამს მათ ჭირისუფლებს და გამოსთქვამს სურვილს, რათა ყოველმა საზოგადოებამ აგოს ძმური ძეგლი, რომელზედაც აღნიშნულ იქნება საქართველოს თავდადებულთა სახელი.

კონფერენციას მოხსენდა აგრედვე მოხსენებანი ა) ბ-ნ ს. დანელიასი: ჩვენი ეკონომიური პერსპექტივები და ბ) ბ-ნ ს. კედიასი—საქართველოს პოლიტიკური სახე. ჩვენი დოქტრინა და სინამდვილე.

გამოითქვა სურვილი ამ საკითხების პარტიულ წრეებში წაკითხვისა და პარტიულ პრესაში გარჩევისა. რეზოლიუციები არ გამოუციათ.

კონფერენციამ განიხილა და დაამტკიცა პარტიული შენობის წესდება, ბ-ნ დანელიას მიერ მოხსენებული.

დასასრულ მოხდა არჩევნები: მთავარკომიტეტისა, პარტიული სასამართლოსი და სარევიზიო კომისიისა.

კონფერენციის პროგრამის სრული ამოწურვის შემდეგ, პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ-ნ სპ. კედიამ დასკვნითი სიტყვით მიმართა ჩამოსულ დელეგატებს და მოუწოდა მხნე და ენერგიული მუშაობისათვის.

## ტყიბულის მაღაროები.

ძველ დროს, როდესაც მონობისაგან იმედ დაკარგული ქართველი გადახედავდა ხოლმე საქართველოში რაიმე წარმოების ადგილს, ამოიხვნეშავდა: „უჰ ნეტავ აქ ან ინგლისელი ან გერმანელი იყვეს, განა რუსებსა და ქართველებს წარმოების ნიჭი აქვთო,“ და ეს გულის სიღრმიდან ამოძახილი, დიალაც სიმართლეს მოკლებული არ იყო; რუსებს წარმოების შნო და უნარი არა ქონდათ მათი ინტელიგენცია ჩინოვნიკთა კადრში პოვებდა ბედნიერებას.

შეიცვალა დრო და გულტკენილი ქართველის თვალსაზრისიც გამოიცვალა: დღეს ჩვენ ინგლისელსა და გერმანელს ჩვენს სიმდიდრეს არ დავუთმობთ და ჩვენსავე ძალ-ღონით დავაყენებთ საქმეს ისე, რომ ინგლისელიც და ფრანგიც იტყვის: ველურები გვეგონა და კულტურას ბევრით არაფრით ჩამორჩენიანო.

ტყიბულის მაღაროები დღეს ბავშმაც იცის, ეს ის ადგილია, რომელმაც ამ რამოდენიმე ხნის წინათ უმაზუთობით თითქმის შეჩერებული რკინის გზა აამუშავა და დიდი სამსახური გაუწია თავისი სიმდიდრით ხალხს, მაგრამ ამ მაღაროებში რომ, მცოდნე და მუყაითი ხალხი არ ყოფილიყო, საქმე არ მოგვარდებოდა.

ტყიბულის მაღაროებს განაგებენ და სათავეში უდგანან 5-თი ძლიერ მუყაითი ინჟენერი, რომელთა გამოცდილებამ, საქმის ცოდნამ და ინიციატორულმა ნიჭმა ქვანახშირის სამეფოში მოგვცა: გარდა ნახშირისა, კირის **ქარხანა**, აგურხანაც და კრამიტის ქარხანასაც სულ-მალე უნდა მოველოდეთ.

შეიძლება თამამათ ვსთქვათ, რომ ნაყოფი ამ ქარხნებისა მოიპოვებს ფართო ბაზარს საქართველოს რესპუბლიკაში და დარწმუნებულიც ვართ, რომ მუყაითი გამგეები ეცდებიან თავიანთი წარმოების ისე გაფართოვებას, რომ საზღვარ გარეთ ამ საქონლის გაზიდვაც არ გაუჭირდებათ.

ტყიბულის მაღაროებს ესტუმრენ სხვადასხვა დროს იტალიელები და ინგლისელები. მაღაროებმა მათზე, როგორც მათი ლაპარაკიდან სჩანდა, კარგი შთაბეჭდილება მოახდინა, ასე რომ დარწმუნებული უნდა ვიყოთ ამ წარმოების სრულ პროგრესში და ამასთანავე ვუსურვოთ მუყაით მუშაკთ წარმატებითი ნიჭი და ინიციატივის სიმკვიდრე და შეურყევლობა.

**მოგზაური.**

## თეატრი მინიატური.

ივლისის 14 და 15 წარმოდგენილი იქნა „სუფრაჟისტკა“ და ოპერეტა „როზენშტოკ და ედელვეისი“.

„სუფრაჟისტკა“ ბ-ნ ლიუბომირსკი და ქ-ნი დამასკინა. შინაარსი ჩვეულებრივი: ვექილი, ცოლ-ქმართა გაყრის საქმეებში ექსტენტიული ქალი, რომელსაც სხვის დაუკითხავად უნდა მათი დაშორება, შემდეგ ვექილთან უსიამოვნება, ბოლოს შეუღლება. წარმოდგენა მეტად მხიარული. კარგათ ჩატარდა.

კარგი იყო ამ საღამოს ქ-ნი ცხაკაია. მისგან შესრულებული „ყვავილები“ (ჩერნიავსკის მუზ.) სასიამო მოსასმენი იყო. ზოგი ადგილები ნამდვილი გრძნობით იყო გამსჭვალული. საზოგადოების თხოვნით მეორეთ შეასრულა.

მოლჩანოვი და ეზროვი „ნუ მქენჯნი ტყუილა უბრალოდ“ (ელინკის მუს.) „მოხეტიალე მათხოვრები“. რაც შეეხება პირველს ვერ იქნა სავსებით დამაკმაყოფილებლად შესრულებული: ზოგ ადგილს აშკარად სჩანდა აღნიშნულ ტონზე მაღლა დაწყებული სიმღერა. ტემპოც არც ისე ჩქარია. უნდა ეცადონ სიტყვები ერთ და იმავე დროს წარმოსთქვან. სამაგიეროდ კარგი იყო მეორე დუეტი. თუ არ ვცდებით ერთხელ მგონი შეასრულეს და ყოველთვის გრძნობით იყო შესრულებული.

„როზენშტოკ და ედელვეისი“: ბ-ნი რიდალი, ქ-ნა ეგოროვა. ოპერეტა ტიროლის ტურისტთა ცხოვრებიდან. შტრაუსის მუსიკა. შინაარსი მხიარული. დადგმა შეხაფერი. შესრულება ორივე მხრიდან დასაკმაყოფილებელი. განსაკუთრებით კარგი იყო ბ-ნ რიდალის მიერ შესრულებული ებრაელის კუპლეტი.

როგორც წინად—ეხლაც მინდა მივაქციო ყურადღება ზოგიერთ დეფექტებს: ქ-ნი ეგოროვა. მე მგონი ტიროლის მთებში უბრალო მთის შვილს ისე არ ექნებოდა გაკეთებული თმა, როგორც მას ქონდა: ყურებთან ჩამოწეულ-მოგრეხილი და სხვა დიდი რამ წვრილმანებისაგან შესდგება და წვრიმალს შეუძლია ხანდახან ბევრი რამ წაახდინოს. მე მინდა დავრწმუნდე, რომ ყოველგვარი წვრილმანებს მიაქცევს ყურადღებას ბ-ნი რეჟისორი, რითაც ხელს შეუწყობს საერთო შთაბეჭდილებას.

**გულნარა.**

## სპორტი.

ახალ-სენაკი.

კვირას 13 ივლისს ქ-ნ. მიქელაძის ეზოში გაიმართა ფუტბოლის მატჩი. ადგილობრივ ფუტბოლისტთა ჯგუფი „№ 11“ შეეჯიბრა ფოთის ფუტბოლისტთა რჩეულ ჯგუფს ხალხი, შედარებით წინანდელ შეჯიბრებებზე, ნაკლები იყო. უკრავდა მუსიკა. შედეგი იყო 1:0 ე. ი. ადგილობრივ ჯგუფმა გაიტანა 1 და ფოთის ჯგუფმა კი ვერც ერთი.

ეს გამარჯვება სენაკელებს დიდ პლიუსათ ჩაეთვლებოდათ, რომ მათ არ დახმარებოდათ ქუთაისელი ფუტბოლისტები სახელდობრ: ამბოკაძე, ჭუხაძე, ლევავა და მთავრიშვილი, რადგანაც ფოთელი ფუტბოლისტები კარგ მოთამაშეებათ ითვლებოდენ.

საერთოდ შეჯიბრებამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

კარგათ თამაშობდენ ადგილობრივ ჯგუფიდგან: ს. **ლევავა** (ცენტრ-ფორვარდი), რომლის სწრაფი თამაში და მოულოდნელი გოლში დარტყმა აბნევდა მოწინაალმდეგებს 2. **მთავრიშვილი** (ფორვარდი), რომელსაც ძნელად თუ ვინმე დაატოვებიებდა ფუტბოლს.

ვ. ხ. **ტოგონიძე** (ცენტრ-ავ-ბეკი), რომელსაც ეტყობოდა გამოცდილება და ტეხნიკის ცოდნა ამ დარგში და აგრეთვე კარგათ თამაშობდა **ფეთ-ფილაკტუსი** (გოლკიპერი). ფოთის ჯგუფიდან აღსანიშნავია ს. გოგინავა (ბეკი), რომლის დინჯი, აუღელვებელი და დაკვირვებული თამაში და მასთან ერთად ზედმიწევნით თამაშის ცოდნა მიიპყრობდა ყურადღებას და 2 გოლკიპერი (გვარი არ მახსოვს), რომელმაც არა ერთხელ გამოაგდო გოლიდან ფუტბოლი და ამით იხსნა ფოთელები ზედმეტ დამარცხებიდან.

**სპორტსმენი.**

## მადლობის გამოცხადება.

შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველოს გამგეობა მადლობას უძღვნის ქვემოთ ჩამოთვლილ პირთ, რომლებმაც შემოსწირეს თავიანთი წვლილი.

პ. დათეშიძე 100 მ., რ. ხუთრიძე 50 მ., რ. ფილიფოვი 10 მ., ქ. ბოჭორიშვილი 5 მ., ს. შერგელაშვილი 10 მ., ა. ნაზაძე 10 მ., კ. შერგელაშვილი 10 მ., ს. ურეკაძე 10 მ., დ. დამენიძ 10 მ., ა. ჩუბინიძე 10 მ., რ. ჩოგოვაძე 10 მ., ა. ქოჩიაშვილი 5 მ., მ. ჩიხლაძე 3 მ., ან. განთაძე 3 მ. 50 კ., ა. მახვილაძე 1 მ., ბ. მამაგეიშვილი 1 მ., ა. ჩარკვიანი 3 მ., ლ. რუსაძე 5 მ., ნ. ლომასიჩე 50 მ., გ. მიქაძე 3 მ., ლ. კიკვიძე 1 მ. 50 კ., ნ. ჯანელიძე 20 მ., ბ. ჯაფარიძე 20 მ., ტყეშელაშვილი და კიწმარიშვილი 10 მ., კ. საკაშვილი 1 მ., გ. მამულიანცი 3 მ., ბ. ნებიერიძე 3 მ., შეხმანი 3 მ., უკრაინცევი 10 მ., ს. მარგველაშვილი 5 მ., კ. მელაშვილი 10 მ., შალამბერიძე 5 მ., ძმ. ყორყოლაძეები 20 მ., ა. შენგელია 10 მ., ლ. ბოკერია 10 მ., ი. დარახველიძე 5., ს. ბოკერია 5 მ., ს. მოშიაშვილი 10 მ., ბ. ბინიაშვილი 5 მ., დ. მოშიაშვილი 3 მ., ნ. რუხაძე 10 მ., ი. ხაზარაძე 20 მ., ი. იაკობიშვილი 5 მ., გ. იაკობიშვილი 5 მ., წიქორიძისა ნატა 5 მ., ვოლოხი 3 მ., ვ. კუპრაშვილი 3 მ., ა. ელენტი 5 მ., ძმ. ხანანაშვილები 5 მ., ძმა გვარჯალაძეები 10 მ., ბ. ბუილიშვილი 10 მ., პ. გვეტაძისაგან 3 მ., ნ. დავითაშვილი 5 მ., კ. ჭავჭანიძე 5., მ. ბუზუკაშვილი 3 მ., თ. გაგუა 10 მ., ჩაჩაშვილი 10 მ., ს. ქებაძე 10 მ., გაგუა დიმიტრი 5 მ., ხუბლაძე და ბერიშვილი 10 მ., რ. თურქია 10 მ., ვ. კახიანი 10 მ, ძმა ჩილინგაროვი 10 მ., პროვიზორების ამხ. 10 მ., პ. ჩხეიძე 3 მ., პ. რუხაძე 3 მ., ძმა მელაშვილები 2 მან.

ჯამი 667 მანეთი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.